

სს ბაუმარკეტი

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს

ს ა რ ზ ე ვ ი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება	5
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	6
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	7-23

სს ბაუმარკეტი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ლარი	შენიშვნა	31-Dec-2019	31-Dec-2018	1-Jan-2018
აქტივები				
ძირითადი საშუალებები	8	1,456,118	1,529,101	1,620,590
არამატერიალური აქტივები	9	5,962	6,942	7,922
საინვესტიციო ქონება	10	3,679,180	3,284,840	3,050,000
გრძელვადიანი აქტივები		5,141,260	4,820,882	4,678,512
მარაგები	11	809,051	701,181	621,755
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12	18,356	25,469	18,422
გადახდილი ავანსები		4,343	5,535	6,111
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები	13	31,083	38,471	36,256
მიმდინარე აქტივები		862,832	770,656	682,544
სულ აქტივები		6,004,092	5,591,538	5,361,056
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		2,413,462	2,215,462	2,050,462
გაუნაწილებელი მოგება		1,024,592	1,126,682	1,214,847
სულ კაპიტალი		3,438,054	3,342,144	3,265,309
ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები		713,817	972,471	820,916
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		713,817	972,471	820,916
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	1,411,537	848,791	811,259
მოკლევადიანი სესხები	14	440,190	417,639	570,584
საგადასახადო ვალდებულებები	14	493	10,493	-
მიმდინარე ვალდებულებები		1,852,221	1,276,923	1,274,830
სულ ვალდებულებები		2,566,038	2,249,394	2,095,746
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		6,004,092	5,591,538	5,361,056

თემურ თევზაძე

დირექტორი

მიხეილ მახარაშვილი

მთავარი ბუღალტერი

სს ბაუმარკეტი
სრული შემოსავლის ანგარიშგება 2019 წლისთვის

ლარი	შენიშვნა	2019	2018
შემოსავალი		2,113,841	1,530,061
რეალიზებული საქონლის/ გაწეული მომსახურების თვითღირებულება		(1,583,903)	(1,144,344)
სრული მოგება		529,938	385,716
სხვა შემოსავალი/ხარჯი	5	360,018	255,488
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	6	(812,018)	(583,594)
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან		77,938	57,610
წმინდა ფინანსური მოგება/ზარალი	7	(180,027)	(145,776)
მოგება დაბეგვრამდე		(102,089)	(88,166)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
მოგება წლის განმავლობაში		(102,089)	(88,166)
სხვა სრული შემოსავალი			
<i>ერთეულები, რომლებიც არასოდეს იქნება კლასიფიცირებული მოგებად ან ზარალად</i>		-	-
სხვა მოგება და სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		(102,089)	(88,166)

თემურ თევზაძე

დირექტორი

მიხეილ მახარაშვილი

მთავარი ბუღალტერი

სს ბაუმარკეტი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2019 წლისათვის

თანხები მოცემულია ერთეულ ლარში

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	31-12-19	31-12-18
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	2,475,843	1,747,639
მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(1,789,592)	(1,446,721)
გაცემული შრომის ანაზღაურება	(291,190)	(238,965)
გადახდილი გადასახადები	(135,560)	(8,883)
გადახდილი მოგების გადასახადი	-	-
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	(37,656)	(14,751)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	221,845	38,318
ძირითადი საშუალებების შეძენა	(18,383)	(54,794)
საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(18,383)	(54,794)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
საწესდებო კაპიტალის შევსება	198,000	165,000
სესხების მიღება	317,000	300,000
სესხების დაფარვა	(623,671)	(336,579)
გადახდილი პროცენტი	(102,186)	(109,728)
საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(210,857)	18,693
ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ზრდა/კლება (ნეტო)	6	(1)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა	(7,388)	2,215
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	38,471	36,256
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	31,083	38,471

თემურ თევზაძე

დირექტორი

მიხეილ მახარაშვილი

მთავარი
ბუღალტერი

სს ბაუმარკეტი

საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება 2019 წლისათვის

ლარი	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
2018 წლის 01 იანვრის მდგომარეობით	2,050,462	1,214,847	3,265,309
საწესდებო კაპიტალის გაზრდა ან შემცირება	165,000	-	165,000
წლის მოგება	-	(88,166)	(88,166)
განაწილებული დივიდენდი	-	-	-
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,215,462	1,126,682	3,342,144
საწესდებო კაპიტალის გაზრდა ან შემცირება	198,000	-	198,000
წლის მოგება	-	(102,089)	(102,089)
განაწილებული დივიდენდი	-	-	-
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,413,462	1,024,592	3,438,054

თემურ თევზაძე

დირექტორი

მიხეილ მახარაშვილი

მთავარი ბუღალტერი

1. ზოგადი ინფორმაცია

ა) ორგანიზაცია და საქმიანობა

სს ბაუმარკეტი (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნდა საქართველოში 1998 წლის 28 სექტემბერს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. 2014 წლის 26 ნოემბერს „კომპანიამ“ შეიცვალა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა და სახელი, კერძოდ შპს ლ.დ. გარდაიქმნა

სს ბაუმარკეტად, რომლის რეგისტრაციის ნომერია: 204909073. სს ქებული კლიმატმა შეიძინა 100 %-იანი წილი 2012 წელს შპს „ლ.დ.“-ში.

სს ბაუმარკეტის იურიდიული და ფაქტიური მისამართია: ქ. რუსთავი; ლეონოძის მიმდ. ტერიტორია, საქართველო.

„კომპანიის“ ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცალო ვაჭრობა საყოფაცხოვრებო ხელსაწყოებით და მოწყობილობებით, სამშენებლო მასალების ყიდვა/გაყიდვა.

„კომპანიის“ კაპიტალის წილების პროცენტული ფლობა 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

წილის მფლობელები	31/12/2019	31/12/2018
ქებული კლიმატი	100%	100%

ფინანსური ინფორმაცია შედგენილია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მოთხოვნების დაცვით.

ფინანსური ინფორმაცია ნებადართულია გამოსაცემად 2020 წლის 26 ნოემბერს.

ბ) საქართველოს ბიზნეს გარემო

„კომპანიის“ საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე. შესაბამისად, „კომპანია“ დამოკიდებულია საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზე, რომლებიც წარმოადგენენ განვითარებადი ქვეყნის ბაზრებს. სამართლებრივი, საგადასახადო და მარეგულირებელი ბაზრები ჯერ კიდევ განვითარების ეტაპზეა და განიცდის სხვადასხვა ინტერპრეტაციებსა და ცვლილებებს, რომლებიც სხვა სამართლებრივ და ფისკალურ დაბრკოლებებთან ერთად, სირთულეებს უქმნის საქართველოს ტერიტორიაზე მომუშავე კომპანიებს. წინამდებარე ფინანსური ინფორმაცია ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას „კომპანიის“ ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

2. ფუნქციონირებადი საწარმო

ფუნქციონირებადი საწარმოს მართებულობის დაშვების შეფასებისას საწარმოს ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ნებისმიერ ინფორმაციას საწარმოს მომავალი საქმიანობის შესახებ, რომელიც გულისხმობს ბალანსის შედგენის თარიღიდან სულ მცირეს, 12 თვეს. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე.

3. მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ინფორმაცია მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოს

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად. ფინანსური ინფორმაცია მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის მიხედვით, გარდა საინვესტიციო ქონებისა, რომელიც წარდგენილია რეალური ღირებულებით. ფინანსურ ინფორმაციაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

მოცემული ფინანსური ანგარიშგება არის კომპანიის მიერ მსს ფასს-ების მიხედვით მომზადებული პირველი ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ებზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს კომპანიის ხელმძღვანელობისგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-4 შენიშვნაში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის რეზიუმე

უცხოური ვალუტა

„კომპანიის“ სამუშაო ვალუტა არის ლარი, რადგანაც ეს არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც კომპანია ეწევა საქმიანობას. უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციების თავდაპირველ აღრიცხვას კომპანია აწარმოებს ოპერაციის თარიღისთვის დადგენილი ფუნქციონალური ვალუტის კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისთვის ფუნქციონალური ვალუტის სპოტ გაცვლითი კურსის შესაბამისად. სხვაობების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული და პირვანდელი ღირებულებით ასახული არაფულადი მუხლები გადაყვანილია თავდაპირველი ოპერაციების თარიღებისათვის მოქმედი სავალუტო კურსების შესაბამისად.

საწარმოთა გაერთიანება

საწარმოთა შეძენას ჯგუფი აღრიცხავს აქტივების ჯგუფის შეძენის სახით გადახდილი კომპენსაციის მიხედვით, რადგან შეძენილი საწარმოები შეძენისას არ წარმოდგენენ სამეურნეო ერთეულს (ბიზნესს) მსს ფასს-ის მე-19 განყოფილების *საწარმოთა გაერთიანება და გუდვილი* მიხედვით.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და რეალიზაციასთან

დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადის გამოკლებით.

დაგროვებითი ქულების პროგრამა. „კომპანიას“ აქვს ხელოსან ფიზიკურ პირებთან „პარტნიორის ბარათის“ პროგრამა. პროგრამის ფარგლებში ხელოსნები, რომელთაც მოყავთ კლიენტები, აგროვებენ ქულებს, რომლებიც შემდგომში შეუძლიათ გაიტანონ ფულის სახით ან/და მიიღონ ფასდაკლება შემდგომი საქონელზე. ქულები აღიარდება თავდაპირველი გაყიდვის ოპერაციის ინდივიდუალური იდენტიფიცირებადი კომპონენტის სახით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

გადასახადები

i) მოგების გადასახადი

მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად „კომპანია“ იბეგრება ე.წ. ესტონური მოდელით. ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მიზნებისთვის მოგების გადასახადის დაბეგვრის ობიექტი „კომპანიის“ მიერ იმიჯდება ორ ნაწილად: მოგება, რომელიც დივიდენდის სახით ნაწილდება და დაბეგვრის სხვა ობიექტები გარდა დივიდენდის სახით განაწილებული მოგებისა (სხვა დასაბეგრი ობიექტი).

„კომპანიის“ მიერ დივიდენდის სახით განაწილებული მოგებიდან გამომდინარე მოგების გადასახადი აღიარდება დივიდენდის განაწილების შესახებ საწარმოს პარტნიორთა მიერ გადაწყვეტილების მიღებისთანავე (კრების ოქმი). მოგების გადასახადის ხარჯი საანგარიშგებო მუხლით „მოგების გადასახადი“ წარდგენილი იქნება იმ საანგარიშგებო წლის მოგება ან ზარალში, როდესაც მოხდა დივიდენდის განაწილება.

სხვა დასაბეგრი ობიექტიდან გამომდინარე მოგების გადასახადი აღიარდება გადასახადის გადახდის ვალდებულების წარმოშობი მოვლენის მოხდენის შესაბამის საანგარიშგებო თვეში, თუ ეს მოვლენა არ განაპირობებს საგადასახადო ვალდებულების შესაბამისი აქტივის წარმოშობას (როდესაც ვალდებულება შეიძლება შემცირდეს მაგ. გაცემული სესხის დაბრუნების შედეგად) და აკმაყოფილებს ხარჯის სახით აღიარების კრიტერიუმებს, მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება და წარდგენილი არის საანგარიშგებო პერიოდის მოგებაში ან ზარალში ხარჯის სახით. ის არ მიეკუთვნება საანგარიშგებო მუხლს „მოგების გადასახადი“.

ii) დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯების და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, იმ შემთხვევაში თუ ეს კონკრეტული (შემოსავალი, ხარჯები და აქტივები) მიეკუთვნება დღ-ით დასაბეგრი ოპერაციებს, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც შემოსავლები, ხარჯები და აქტივები დღ-ის ჩათვლის უფლებით განთავისუფლებულ ბრუნვას მიეკუთვნება, მათი გათვალისწინება ხდება თვითღირებულებაში.

საგადასახადო ორგანოსგან მიღებული ან მისთვის გადასახდელი დამატებითი ღირებულების გადასახადის აქტივის ან ვალდებულების წმინდა თანხა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების სხვა საგადასახადო დავალიანების მუხლში.

iii) საშემოსავლო გადასახადი

„კომპანია“ იხდის საშემოსავლო გადასახადს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი განაკვეთით - 20%. საშემოსავლო გადასახადი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია სხვა საგადასახადო დავალიანების მუხლში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებების სასიცოცხლო პერიოდები ჯგუფების მიხედვით შემდეგნაირია:

შენობები	30 წელი
ნაგებობები	10-20 წელი
მანქანა-დანადგარები	
ოფისის აღჭურვილობა	3-7 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	
სატრანსპორტო საშუალებები	10-12 წელი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის კომპანიის მიერ ფლობილი ქონება საიჯარო შემოსავლის ან კაპიტალის ფასის გაზრდისთვის, ან ორივე მიზეზით, და არ არის კომპანიის მიერ ათვისებული საკუთარი საოპერაციო საქმიანობების განსახორციელებლად.

2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „კომპანიის“ ხელმძღვანელობამ განსაზღვრა საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება გასაყიდ ღირებულებაზე გაყიდვის

ღირებულების გამოკლებით. საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა მიმდინარე ოპერაციებში ბაზრის ფასების ან მსგავს ადგილმდებარეობაზე და მსგავსი ფიზიკური მახასიათებლების მქონე ქონების გამოცხადებული მოთხოვნილი ფასების საფუძველზე.

არამატერიალური აქტივები

ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დარიცხული ამორტიზაცია და გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგები, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ამორტიზაციის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის საფუძველზე მათი სავარაუდო სასარგებლო ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადა და ამორტიზაციის მეთოდი ყოველი საანგარიშგებო წლის ბოლოს გადაიხედება, პერსპექტიულ საფუძველზე გაკეთებული ნებისმიერი შეფასების გათვალისწინებით.

არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება მისი გასვლისას ან როდესაც არავითარი მომავალი ეკონომიკური სარგებელი არ არის მოსალოდნელი აქტივის გამოყენებისა და შემდგომი გასვლის შემდეგ. არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტისას წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი უნდა განისაზღვროს, როგორც სხვაობა აქტივის გასვლის წმინდა შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და უნდა აღიარდეს მოგებაში ან ზარალში, როდესაც აქტივის აღიარება შეწყდება. შემოსულობა არ კლასიფიცირდება ამონაგებად.

კომპანიის არამატერიალური აქტივები მოიცავს საბუღალტრო და სხვადასხვა კომპიუტერულ პროგრამებს. არამატერიალური აქტივები, რომელთა სასიცოცხლო მომსახურების ვადა შეუზღუდავია, ერიცხება 10 წლიან სასარგებლო მომსახურების ვადაზე ამორტიზაცია, ხოლო დანარჩენს გამოყენების ვადის მიხედვით.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება

ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო მატერიალური მარაგის ღირებულება ეყრდნობა FIFO პრინციპს და მოიცავს მარაგების შეძენის ხარჯებს, ასევე წარმოების და დამუშავების ხარჯს. წარმოების თვითღირებულებასა და სხვა ხარჯებს, რომელთა გაწევაც გახდა საჭირო მარაგების არსებულ მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივ სამეურნეო პროცესში სავარაუდო გასაყიდი ფასი პროდუქციის დასრულების მიახლოებითი ხარჯებისა და გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯების გამოკლებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთებს და საბანკო ანგარიშებს.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, ხოლო ნაშთი საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის 31 დეკემბერს არსებული კურსით.

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო განსჯა და განუსაზღვრელობის შეფასების ძირითადი წყაროები

მე-4 შენიშვნაში აღწერილი კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას ხელმძღვანელობას მოეთხოვება განსჯის, შეფასებებისა და დაშვებების გამოყენება იმ აქტივებისა და ვალდებულებების მიმართ, რომელთა ღირებულება გარკვევით ვერ მიიღება სხვა წყაროებიდან. შეფასებები და დაკავშირებული დაშვებები ემყარება წარსულ გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, რომლებიც მიიჩნევა, რომ შესაფერისია. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისგან.

აღნიშნული შეფასებებისა და საბაზისო დაშვებების შესწორება მუდმივად ხდება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც შესწორდა შეფასება, თუ ცვლილება გავლენას ახდენს მხოლოდ იმ პერიოდზე ან შესწორების პერიოდსა და სამომავლო პერიოდებში, თუ ცვლილება გავლენას ახდენს როგორც მიმდინარე, ისე სამომავლო პერიოდებზე.

განუსაზღვრელობის შეფასების ძირითადი წყაროები

დაბეგვრა

ქართული საგადასახადო კანონმდებლობა შეიძლება დაექვემდებაროს სხვადასხვა ინტერპრეტაციებს და შეიძლება მან ცვლილებები განიცადოს. ამასთან, საგადასახადო კანონმდებლობის ხელმძღვანელობისეული ინტერპრეტაცია შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისგან, რის გამოც კომპანიას შეიძლება დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტის თანხა დაეკისროს. კომპანიას დარწმუნებულია, რომ მან უკვე გადაიხადა ყველა გადასახადი, ამიტომ ფინანსურ ანგარიშგებაში ანარიცხი არ შეუქმნია. საგადასახადო წელი საგადასახადო ორგანოს მიერ ინსპექტირებისთვის ღიად რჩება მომდევნო სამი კალენდარული წლის განმავლობაში.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხელმძღვანელობის განსჯის საკითხია, მსგავს აქტივებთან დაკავშირებული მათი გამოცდილების საფუძველზე. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მოსალოდნელ მოხმარებას, ტექნიკური მოძველების შეფასებას, ფიზიკურ ცვეთასა და იმ ფიზიკურ გარემოს, სადაც იყენებენ ამ აქტივს. ამ გარემოებების ან შეფასებების ცვლილებამ შეიძლება განაპირობოს სამომავლო ცვეთის განაკვეთების შესწორება.

საექვო ვალების ანარიცხები

კომპანია საექვო ვალების ანარიცხებს ქმნის, რათა აღრიცხოს მომხმარებლების მიერ გადახდების განხორციელების უუნარობის შედეგად მიღებული შეფასებული ზარალი. საექვო ვალების ანარიცხების ადეკვატურობის შეფასებისას ხელმძღვანელობა თავისი

შეფასების საფუძველად იყენებს საერთო ეკონომიკურ მდგომარეობას, დებიტორული დავალიანებების ნაშთების ხანდაზმულობას, წარსულში ჩამოწერის გამოცდილებას, მომხმარებლის კრედიტუნარიანობასა და გადახდის პირობების ცვლილებებს. ეკონომიკაში, დარგში ან კონკრეტული მომხმარებლის გარემოებების ცვლილებებმა შეიძლება განაპირობოს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული საექვო ვალების ანარიცხების ცვლილება.

5. სხვა საოპერაციო შემოსავალი/ხარჯი

ლარი	31-12-19	31-12-18
მოგება/ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან	655	(66)
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ზედმეტობა	2,501	23,397
სხვა საოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	(2,346)	(2,683)
საინვესტიციო ქონების გადაფასებიდან მიღებული მოგება/(ზარალი), წმინდა	394,340	234,840
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ჩამოფასება ნეტო	(35,131)	-
სარეალ. ღირებულებამდე		
სულ სხვა საოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	360,018	255,488

6. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ლარი	31-12-19	31-12-18
შრომის ანაზრაულება	(377,529)	(300,026)
ამორტიზაცია და ცვეთა	(115,701)	(110,240)
საკონსულტაციო და სხვა პროფესიული მომსახურების ხარჯები	(127,809)	-
ა/მანქანის რემონტის ხარჯი	(3,733)	(1,652)
მიმდინარე რემონტის ხარჯი	(1,386)	(820)
დაზღვევა	(18,391)	(18,199)
რეკლამის ხარჯი	(8,991)	(12,854)
ბანკის საკომისიო	(16,302)	(13,702)
გადაზიდვის ხარჯი	(4,386)	(483)
პროგრამული ხარჯი	(2,530)	(4,455)
იჯარა	(3,559)	(1,271)
კომპიუტერის ხარჯი	(628)	(124)
კომუნალური ხარჯი	(46,358)	(41,711)
კომუნიკაციის ხარჯი	(11,396)	(11,442)
საკანცელარიო ხარჯი	(3,340)	(1,481)
სამეურნეო ხარჯი	(36,422)	(23,134)
საწვავის ხარჯი	(9,113)	(5,265)
საგადასახადო ხარჯი	(15,756)	(22,464)
დაცვის ხარჯი	(877)	(1,251)
საექვო მოთხოვნების ხარჯი	(1,159)	(6,448)
წარმომადგებლობითი ხარჯი	(4,736)	(4,466)

სხვადასხვა ხარჯები	(1,917)	(2,106)
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	(812,018)	(583,594)

7. წმინდა ფინანსური შემოსავალი/ხარჯი

ლარი	31-12-19	31-12-18
საპროცენტო ხარჯი	(99,325)	(115,284)
კურსთაშორის სხვაობიდან წმ. შემოსავალი/ზარალი	(80,702)	(30,491)
სულ ფინანსური შემოსავალი/ხარჯი	(180,027)	(145,776)

8. ძირითადი საშუალებები

ლარი	მიწა და შენობები	ავტოსატრანსპორტო საშუალებები	საოფისე ტექნიკა და სხვა ავეჯი	სულ ძირითადი საშუალებები
მთლიანი საბალანსო ღირებულება 2018 წლის 1 იანვარს	1,187,479	76,425	526,019	1,789,923
აკუმულირებული ცვეთა	- 44,939	- 12,486	- 111,907	- 169,332
წმინდა საბალანსო ღირებულება 2018 წლის 01 იანვრისთვის	1,142,539	63,939	414,112	1,620,590
შემოსვლები	3,774	-	14,655	18,429
გასვლები	-	-	658	- 658
ცვეთის ხარჯი	- 33,831	- 6,369	- 69,061	- 109,260
წმინდა საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,112,482	57,570	359,048	1,529,101
მთლიანი საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	1,191,253	76,425	540,016	1,807,694
აკუმულირებული ცვეთა	- 78,771	- 18,854	- 180,968	- 278,593
წმინდა საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,112,482	57,570	359,048	1,529,101
შემოსვლები	12,026	-	30,939	42,965
გასვლები	-	-	1,227	- 1,227
ცვეთის ხარჯი	- 34,439	- 6,369	- 73,913	- 114,721
წმინდა საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,090,069	51,202	314,848	1,456,118
მთლიანი საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	1,203,278	76,425	569,729	1,849,432
აკუმულირებული ცვეთა	- 113,210	- 25,223	- 254,881	- 393,314
წმინდა საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,090,069	51,202	314,848	1,456,118

მიწა და საინვესტიციო ქონება დატვირთულია იპოთეკით სესხების უზრუნველყოფის მიზნით სს პროგრედიტ ბანკის სასარგებლოდ.

9. არამატერიალური აქტივები

ლარი	ბუღალტრული პროგრამა
<i>მთლიანი საბალანსო ღირებულება 2018 წლის 1 იანვარს</i>	9,800
დაგროვილი ამორტიზაცია	(1,878)
<i>წმინდა საბალანსო ღირებულება 2018 წლის 01 იანვრის მდგომარეობით</i>	7,922
მიღებულია 2018 წლის საანგარიშო პერიოდში	-
დარიცხული ამორტიზაცია	(980)
გასული	-
<i>წმინდა საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</i>	6,942
მიღებულია 2019 წლის საანგარიშო პერიოდში	-
დარიცხული ამორტიზაცია	(980)
გასული	-
<i>წმინდა საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</i>	5,962

10. საინვესტიციო ქონება

ლარი	2019	2018
<i>საინვესტიციო ქონება რეალური ღირებულებით, 1 იანვარს</i>	3,284,840	3,050,000
რეალური ღირებულების შემოსულობა, გამოკლებული ზარალი	394,340	234,840
<i>საინვესტიციო ქონება რეალური ღირებულებით, 31 დეკემბერს</i>	3,679,180	3,284,840

11. მარაგები

ლარი	31-12-19	31-12-18	01-01-18
საქონელი	804,285	698,243	615,011
საწვავი	1,019	2,074	687
სამეურნეო ინვენტარი	3,747	864	6,057
სულ მარაგები	809,051	701,181	621,755

2019 წლის ბოლოს საქონლის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის სხვაობამ შეადგინა 35 131 ლარი, რომელიც ასახულია მოგება/ზარალის მუხლში "სხვა საოპერაციო შემოსავალი/ზარჯი"

13. სავაჭრო და სხვა

მოთხოვნები

ლარი	31-12-19	31-12-18	01-01-18
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	25,963	31,916	18,271
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	-	-	152
საექვო ვალების ანარიცხები	(7,606)	(6,448)	-
სულ მოთხოვნები	18,356	25,469	18,422

საექვო ვალების ანარიცხი

ლარი	2019
1 იანვრის მდგომარეობით	6,448
დარიცხვა წლის განმავლობაში	1,159
31 დეკემბრის მდგომარეობით	7,607

14. ფულადი სახსრები და მათი

ეკვივალენტი

ლარი	31-12-19	31-12-18	01-01-18
ფულადი სახსრები ლარში	24,941	34,339	21,736
ფულადი სახსრები დოლარში	-	-	-
ფულადი სახსრები ევროში	-	-	-
სულ ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშებზე	24,941	34,339	21,736
ნაღდი ფული ლარში	6,142	4,133	14,519
სულ ნაღდი ფული	6,142	4,133	14,519

კომპანიის ფულადი სახსრების ძირითადი ნაშთები განთავსებულია საქართველოს კომერციულ ბანკებში: თიბისი ბანკში და პროკრედიტ ბანკში.

15. ვალდებულებები

ლარი	31-12-19	31-12-18	01-01-18
მოკლევადიანი სესხები	440,190	417,639	570,584
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,406,273	841,458	806,249
მიღებული ავანსები	5,191	7,265	5,010
ვალდებულება პერსონალის წინაშე	68	68	-
საგადასახადო ვალდებულებები	493	10,493	(107,013)
გადასახდელი ხელფასები	5	-	-
სულ ვალდებულებები	1,852,221	1,276,923	1,274,830

16. ნასესხები თანხები

ლარი	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის ვადა	2019 წ. 31 დეკემბერი	2018 წ. 31 დეკემბერი	2017 წ. 31 დეკემბერი
სს „პროკრედიტ ბანკი“	USD	7.10%	2026	61,043	64,025	68,010
სს „პროკრედიტ ბანკი“	USD	7.10%	2019	-	62,328	116,075
სს „პროკრედიტ ბანკი“	USD	7.10%	2020	2,851	67,032	120,467
სს „პროკრედიტ ბანკი“	USD	7.10%	2020	-	86,850	137,943
სს „პროკრედიტ ბანკი“	USD	7.10%	2020	-	48,023	73,195
სს „პროკრედიტ ბანკი“	USD	7.10%	2025	285,803	303,065	325,447
სს „პროკრედიტ ბანკი“	USD	7.10%	2025	192,050	203,237	218,087
სს „პროკრედიტ ბანკი“	USD	7.10%	2025	194,145	205,059	219,728
სს „პროკრედიტ ბანკი“	USD	7.10%	2026	100,759	105,836	112,547
სს „პროკრედიტ ბანკი“	GEL	12.00%	2021	-	244,655	-
სს „პროკრედიტ ბანკი“	GEL	10.00%	2020	317,000	-	-
საბანკო გარანტიებზე დარიცხული %	GEL		2020	356		
სულ სესხები და ნასესხები თანხები				1,154,008	1,390,110	1,391,500
აღებული სესხების მოკლევადიანი ნაწილი				440,190	417,639	570,584
აღებული სესხების გრძელვადიანი ნაწილი				713,817	972,471	820,916

ნასესხები თანხები უზრუნველყოფილია კომპანიის უძრავი ქონებით (მიწა და საინვესტიციო ქონება).

17. საკრედიტო რისკის გავლენა

ა) ფინანსური რისკების მართვა

ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობიდან გამომდინარე, „კომპანია“ დგას შემდეგი რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი

წინამდებარე შენიშვნა წარმოადგენს ინფორმაციას „კომპანიაზე“ ზემოთ მოყვანილი თითოეული რისკის გავლენის, ასევე მათი შეფასებისა და მართვისათვის „კომპანიის“ მიზნების, პოლიტიკებისა და პროცესების და „კომპანიის“ ხელმძღვანელობის მიერ კაპიტალის მართვის შესახებ. სხვა

თანხობრივად გამოხატული ახსნა-განმარტებები მოყვანილია წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში.

ბ) რისკების მართვის სტრუქტურა

„კომპანიის“ ხელმძღვანელობას ეკისრება საერთო პასუხისმგებლობა „კომპანიის“ რისკის მართვის სისტემის დაწესებასა და ზედამხედველობაზე. „კომპანიის“ ხელმძღვანელობა ვალდებულია განავითაროს და მონიტორინგი გაუწიოს ორგანიზაციის რისკების მართვის პოლიტიკას.

„კომპანიის“ რისკის მართვის პოლიტიკა დადგენილია „კომპანიაზე“ რისკების გავლენის განსაზღვრისა და ანალიზისთვის, რისკის შესაბამისი ლიმიტების დაცვის მონიტორინგისთვის. რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და „კომპანიის“ საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად. „კომპანიას“ მიზნად აქვს ტრენინგების, ხელმძღვანელობის სტანდარტებისა და პროცედურების მეშვეობით ჩამოაყალიბოს დისციპლინური და კონსტრუქციული კონტროლის გარემო, რომლის მიხედვითაც ყველა თანამშრომელს ეცოდინება თავისი როლი და ვალდებულება.

გ) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის „კომპანიის“ ფინანსური დანაკარგის რისკი, როდესაც მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის ხელშემკვრელი მხარე არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. საკრედიტო რისკი „კომპანიას“ ძირითადად წარმოეშევა სავაჭრო და სხვა მიმდინარე მოთხოვნებიდან და საინვესტიციო ქაღალდებიდან.

საკრედიტო რისკის გავლენა

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების დაუფარავობის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. კომპანიის საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებიდან და ფული და ფულის ეკვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა). კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას.

ლარი	საბალანსო ღირებულება	საბალანსო ღირებულება	საბალანსო ღირებულება
	31-12-19	31-12-18	01-01-18
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	18,356	25,469	18,422
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები	31,083	38,471	36,256
	49,439	63,940	54,678

კომპანია საკრედიტო რისკების ჯგუფურ და ინდივიდუალურ შეფასებას ახორციელებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

დ) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის იმის რისკი, რომ „კომპანია“ ვერ შეძლებს დაფაროს თავისი ფინანსური ვალდებულებები ფულადი სახსრებით ან ფინანსური აქტივებით. ლიკვიდურობის მართვის „კომპანისეული“ მიდგომა არის, რამდენადაც შესაძლებელია, გადამოწმება იმისა, რომ ვალდებულების გაჩენისას, „კომპანიას“ ყოველთვის ჰქონდეს დავალიანების შესაბამისი ლიკვიდურობა, როგორც ჩვეულ, ისე - სტრესულ მდგომარეობაში, მისი რეპუტაციის ქვეშ დაყენების და დანაკარგების წარმოშობის გარეშე.

ფულადი სახსრების დიდი ნაწილი (90 %) განთავსებულია მიმდინარე ანგარიშზე ბანკებში, რომელიც ასევე ამყარებს „კომპანიის“ ლიკვიდურობას.

არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები	საბალანსო ღირებულება	საბალანსო ღირებულება	საბალანსო ღირებულება
ლარი	31-12-19	31-12-18	01-01-18
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,411,537	848,791	811,259

ე) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს უცხოური ვალუტის გაცვლით კურსებს, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს „კომპანიის“ მფლობელობაში არსებული ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკებზე დამოკიდებულების მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

ვ) კაპიტალის მართვა

„კომპანიის“ საქმიანობიდან გამომდინარე, მას არ აქვს ფორმალური კაპიტალის მართვის პოლიტიკა. გარდა ამისა, „კომპანია“ არ ექვემდებარება კაპიტალთან დაკავშირებულ გარე მოთხოვნებს. „კომპანიის“ კაპიტალის მართვაზე გადაწყვეტილებებს იღებს მისი მფლობელი.

18. პირობითი ვალდებულებები

ა) საგადასახადო პირობითი ვალდებულებები საქართველოში

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მისთვის დამახასიათებელია კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ხშირი ცვლილება, რომელიც ხშირად ბუნდოვანი და წინააღმდეგობრივია და სხვადასხვა საგადასახადო ორგანოს მიერ სხვადასხვაგვარად განიმარტება. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია „კომპანიას“ დააკისროს დამატებითი საგადასახადო ვალდებულება, ჯარიმა ან საურავი, თუ სამართალდარღვევიდან სამი წელია გასული.

ზემოთხსენებული საგადასახადო ვითარებები ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც საქართველოში უფრო არსებითია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ხელმძღვანელობის აზრით, იგი ადეკვატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, საქართველოში მოქმედი

საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების, ოფიცილური აქტებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების შესაბამისად. თუმცა, შესაბამისი უწყებების ინტერპრეტაციები შესაძლოა განსხვავდებოდეს და წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე მათი გავლენა (იმ შემთხვევაში, თუ უწყებები წარმატებით განახორცილებენ მათ ინტერპრეტაციებს) შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს.

ბ) გარემოს დაცვასთან დაკავშირებული საკითხები

საქართველოში კანონმდებლობა გარემოს დაცვის დარგში ვითარდება. „კომპანია“ პერიოდულად ახორციელებს თავისი მოვალეობების შეფასებას გარემოს დაცვის კანონმდებლობის შესაბამისად. როგორც კი წარმოიქმნება ვალდებულება, ხდება მისი აღიარება. პოტენციური ვალდებულებების, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას არსებულ წესებში ან კანონმდებლობაში ცვლილებების და ასევე სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებული სასამართლო პროცესების შედეგად, შეფასება შეუძლებელია, მაგრამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სამართალგამოყენების არსებული კლიმატის გათვალისწინებით, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ „კომპანიას“ გარემოსათვის ზიანის მიყენებასთან ან გარემოს აღდგენასთან დაკავშირებით არა აქვს მნიშვნელოვანი ვალდებულებები.

19. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ა) ოპერაციები მმართველ რგოლთან

ხელმძღვანელობის მმართველმა რგოლმა წლის განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება, რომელიც გათვალისწინებულია სახელფასო ხარჯებში (იხ. მე-6 შენიშვნა):

ოპერაციები მმართველ რგოლთან

ლარი	31-12-19	31-12-18
ხელფასი და ბონუსები	60,443	39,382

ბ) ოპერაციები სათაო კომპანიასთან

ოპერაციები სათაო კომპანიასთან

ლარი	31-12-19	31-12-18
<i>სს ქებული კლიმატი</i>		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (საქონლის რეალიზაცია)	1,181	5,465
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (საიჯარო შემოსავალი)	173,593	105,840
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები (საქონლის შეძენა)	10,523	14,222
მიღებული ავანსი (ნაშთი)	3,471	5,325
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები (ნაშთი)	172,301	151,574

20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2019 წლის ბოლოს ჩინეთში გავრცელდა ახალი კორონა ვირუსი (COVID-19). მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციისათვის ცნობილი იყო გარკვეული შემთხვევების შესახებ 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მათ კორონავირუსი, როგორც გლობალური საფრთხე შეაფასეს მხოლოდ 2020 წლის 31 იანვარს, რადგან ვირუსის მნიშვნელოვანი განვითარება/გავრცელება არ მომხდარა 2020 წლის იანვრამდე. აღნიშნულის გათვალისწინებით,

კორონა ვირუსით გამოწვეული ეფექტი წარმოადგენს არამაკორექტირებელ მოვლენას, შესაბამისად პროგნოზები და დაშვებები, რომლებიც გამოყენებულია 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში რელევანტურია და არ საჭიროებს ცვლილებას აღნიშნული მოვლენის (კორონავირუსი) გამო მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ კორონა ვირუსის დაავადების სწრაფად გავრცელების გამო პანდემია გამოაცხადა. ზოგადად ვირუსმა შესაძლოა ბევრ ინდუსტრიაზე მოახდინოს უარყოფითი ზეგავლენა შემდგომი მიზეზების გამო:

- შემცირებული მომხმარებლების მოთხოვნა პროდუქციაზე გამოწვეული შემოსავლის დაკარგვით და/ან მომხმარებლის თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვით;
- კაპიტალური ინვესტიციების ნაკლებობა, მშენებლობების შემცირება, მომხმარებელთა მოთხოვნილებების შემცირების გამო პროდუქტებსა და მომსახურებაზე;
- ფინანსურ აქტივებზე საბაზრო ფასების შემცირება, კაპიტალისა და სავალო ინსტრუმენტების ჩათვლით;
- გლობალური მიწოდების ქსელის მოშლა, ადამიანებისა და საქონლის გადაადგილებაზე დაწესებული შეზღუდვების გამო.

საქართველოს მთავრობა იძულებული გახდა გარკვეული შეზღუდვები დაეწესებინა. ამ შეზღუდვებმა გავლენა მოახდინა კომპანიის საქმიანობაზე. მენეჯმენტმა შეწყვიტა მომხმარებლების მომსახურება მაღაზიაში და საქმიანობა 2020 წლის მარტიდან.

კომპანიის ხელმძღვანელობამ ქალაქ რუსთავში მაღაზიის დაკეტვის შემდეგ, გადაწყვეტილება მიიღო მისი გაყიდვის შესახებ. 2020 წლის ოქტომბერში წინარე ნასყიდობა გააფორმა მომავალ მესაკუთრესთან. ამ ეტაპზე კომპანიის ძირითად შემოსავლის წყაროდ რჩება საინვესტიციო ქონებიდან მიღებული საიჯარო შემოსავალი სათაო კომპანიიდან, საიდანაც 2019 და 2018 წლებში მიღებულია შესაბამისად 173 593 ლარი და 89 695 ლარი.

დირექტორები:

მთავარი ბუღალტერი:

სს ბაუმარკეტი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ლარი	შენიშვნა	31-Dec-2019	31-Dec-2018	1-Jan-2018
აქტივები				
ძირითადი საშუალებები	8	1,456,118	1,529,101	1,620,590
არამატერიალური აქტივები	9	5,962	6,942	7,922
საინვესტიციო ქონება	10	3,679,180	3,284,840	3,050,000
გრძელვადიანი აქტივები		5,141,260	4,820,882	4,678,512
მარაგები	11	809,051	701,181	621,755
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12	18,356	25,469	18,422
გადახდილი ავანსები		4,343	5,535	6,111
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები	13	31,083	38,471	36,256
მიმდინარე აქტივები		862,832	770,656	682,544
სულ აქტივები		6,004,092	5,591,538	5,361,056
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		2,413,462	2,215,462	2,050,462
გაუნაწილებელი მოგება		1,024,592	1,126,682	1,214,847
სულ კაპიტალი		3,438,054	3,342,144	3,265,309
ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები		713,817	972,471	820,916
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		713,817	972,471	820,916
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	1,411,537	848,791	811,259
მოკლევადიანი სესხები	14	440,190	417,639	570,584
საგადასახადო ვალდებულებები	14	493	10,493	107,013
მიმდინარე ვალდებულებები		1,852,221	1,276,923	1,274,830
სულ ვალდებულებები		2,566,038	2,249,394	2,095,746
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		6,004,092	5,591,538	5,361,056

თემურ თევზაძე

მიხეილ მახარაშვილი

(Handwritten signature)



დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

სს ბაუმარკეტი

სრული შემოსავლის ანგარიშგება 2019 წლისთვის

ლარი	შენიშვნა	2019	2018
შემოსავალი		2,113,841	1,530,061
რეალიზებული საქონლის/ გაწეული მომსახურების თვითღირებულება		(1,583,903)	(1,144,344)
სრული მოგება		529,938	385,716
სხვა შემოსავალი/ხარჯი	5	360,018	255,488
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	6	(812,018)	(583,594)
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან		77,938	57,610
წმინდა ფინანსური მოგება/ზარალი	7	(180,027)	(145,776)
მოგება დაბეგვრამდე		(102,089)	(88,166)
მოგების გადასახადის ხარჯი			-
მოგება წლის განმავლობაში		(102,089)	(88,166)
სხვა სრული შემოსავალი			
ერთეულები, რომლებიც არასოდეს იქნება კლასიფიცირებული მოგებად ან ზარალად		-	-
სხვა მოგება და სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		(102,089)	(88,166)

თემურ თევზაძე



დირექტორი

მიხეილ მახარაშვილი

მთავარი ბუღალტერი

(Handwritten signature)

სს ბაუმარკეტი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2019 წლისათვის

თანხები მოცემულია ერთეულ ლარში		
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	31-12-19	31-12-18
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	2,475,843	1,747,639
მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(1,789,592)	(1,446,721)
გაცემული შრომის ანაზღაურება	(291,190)	(238,965)
გადახდილი გადასახადები	(135,560)	(8,883)
გადახდილი მოგების გადასახადი	-	-
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	(37,656)	(14,751)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	221,845	38,318
ძირითადი საშუალებების შეძენა	(18,383)	(54,794)
საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(18,383)	(54,794)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
საწესდებო კაპიტალის შევსება	198,000	165,000
სესხების მიღება	317,000	300,000
სესხების დაფარვა	(623,671)	(336,579)
გადახდილი პროცენტი	(102,186)	(109,728)
საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(210,857)	18,693
ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ზრდა/კლება (ნეტო)	6	(1)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა	(7,388)	2,215
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	38,471	36,256
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	31,083	38,471

თემურ თევზაძე



დირექტორი

მიხეილ მახარაშვილი

მთავარი
ბუღალტერი



სს ბაუმარკეტი

საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება 2019 წლისათვის

ლარი	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
2018 წლის 01 იანვრის მდგომარეობით	2,050,462	1,214,847	3,265,309
საწესდებო კაპიტალის გაზრდა ან შემცირება	165,000	-	165,000
წლის მოგება	-	(88,166)	(88,166)
განაწილებული დივიდენდი	-	-	-
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,215,462	1,126,682	3,342,144
საწესდებო კაპიტალის გაზრდა ან შემცირება	198,000	-	198,000
წლის მოგება	-	(102,089)	(102,089)
განაწილებული დივიდენდი	-	-	-
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,413,462	1,024,592	3,438,054

თემურ თევზაძე



დირექტორი

მიხეილ მახარაშვილი



მთავარი ბუღალტერი

კორონა ვირუსით გამოწვეული ეფექტი წარმოადგენს არამაკორექტირებელ მოვლენას, შესაბამისად პროგნოზები და დაშვებები, რომლებიც გამოყენებულია 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში რელევანტურია და არ საჭიროებს ცვლილებას აღნიშნული მოვლენის (კორონავირუსი) გამო მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ კორონა ვირუსის დაავადების სწრაფად გავრცელების გამო პანდემია გამოაცხადა. ზოგადად ვირუსმა შესაძლოა ბევრ ინდუსტრიაზე მოახდინოს უარყოფითი ზეგავლენა შემდგომი მიზეზების გამო:

- შემცირებული მომხმარებლების მოთხოვნა პროდუქციაზე გამოწვეული შემოსავლის დაკარგვით და/ან მომხმარებლის თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვით;
- კაპიტალური ინვესტიციების ნაკლებობა, მშენებლობების შემცირება, მომხმარებელთა მოთხოვნილებების შემცირების გამო პროდუქტებსა და მომსახურებაზე;
- ფინანსურ აქტივებზე საბაზრო ფასების შემცირება, კაპიტალისა და სავალო ინსტრუმენტების ჩათვლით;
- გლობალური მიწოდების ქსელის მოშლა, ადამიანებისა და საქონლის გადაადგილებაზე დაწესებული შეზღუდვების გამო.

საქართველოს მთავრობა იძულებული გახდა გარკვეული შეზღუდვები დაეწესებინა. ამ შეზღუდვებმა გავლენა მოახდინა კომპანიის საქმიანობაზე. მენეჯმენტმა შეწყვიტა მომხმარებლების მომსახურება მაღაზიაში და საქმიანობა 2020 წლის მარტიდან.

კომპანიის ხელმძღვანელობამ ქალაქ რუსთავში მაღაზიის დაკეტვის შემდეგ, გადაწყვეტილება მიიღო მისი გაყიდვის შესახებ. 2020 წლის ოქტომბერში წინარე ნასყიდობა გააფორმა მომავალ მესაკუთრესთან. ამ ეტაპზე კომპანიის ძირითად შემოსავლის წყაროდ რჩება საინვესტიციო ქონებიდან მიღებული საიჯარო შემოსავალი სათაო კომპანიიდან, საიდანაც 2019 და 2018 წლებში მიღებულია შესაბამისად 173 593 ლარი და 89 695 ლარი.

დირექტორები:



მთავარი ბუღალტერი: